პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 248
(7309)

28
1982 წ.
დეკემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

●

ჯილდოები — ღირსეულთ

სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავთან დაკავშირებით ჩატარებული ფიზკულტურული ორგანიზაციების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის, მშთ ნიშნოსანთა მომზადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებაში ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა დიდი წვლილისთვის და სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წითელი დროშებითა და სპორტული ინვენტარითა და მოწყობილობით დააჯილდოვა:

რსფსრ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;

უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი;

სახალხო დეპუტატთა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წითელი დროშები აღნიშნულ სპორტკომიტეტებში დარჩება მუდმივად.

მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის შესრულების და მშთ კომპლექსის დასანერგად გაწეული დიდი მუშაობისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სამახსოვრო ვიმპელებით დაჯილდოვდნენ:

ყაზახეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქმენეთის რესპუბლიკური სპორტკომიტეტები, აგრეთვე კრასნოიარსკის სამხარეო, კრასნოდარის, სვერდლოვსკის, გროდნოს, აღმოსავლეთ-ყაზახეთის, ტაშკენტის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის საოლქო სპორტკომიტეტები.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის დიპლომებით დაჯილდოვდა ოლქების, ქალაქების, რაიონების, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და ორგანიზაციების 200 ფიზკულტურული კოლექტივი და სპორტკლუბი.

ნანა იოსელიანი — სსრ კავშირის ჩემპიონი

ტალინი, 27 დეკემბერი (დეპეშით, „ლელოს" სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატის XV ტურში ლიდერთაგან მხოლოდ იოსელიანმა დაამთავრა შეხვედრა — კოზლოვსკაიას დაუზავდა. დანარჩენ მონაწილეთა პარტიები გადაიდო.

წერეთელი და ხუგაშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ, ფათალიბეკოვამ დაამარცხა პიარნპუუ.

XVI ტურში გურიელმა მოუგო ტიტორენკოს, წერეთელმა — ფათალიბეკოვას, ჩელუშკინამ — ეპშტეინს, ჩეხოვამ — მინოგინას და ზაიცევამ — არახამიას. იოსელიანი—ხუგაშვილის, ლიტინსკაია — ახმარუმოვასა და ლელჩუკ—კოზლოვსკაიას შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

გუშინ მოჭადრაკეებმა დაამთავრეს გადადებული პარტიები. იოსელიანმა მოუგო გურიელს XIV ტურიდან გადადებული შეხვედრა. ახმარუმოვამ დაამარცხა ზაიცევა, ლიტინსკაიამ — მინოგინა, ეპშტეინმა — არახამია და ტიტორენკომ — ჩელუშკინა.

16 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ნ. იოსელიანი — 11,5 ქულა, მ. ლიტინსკაია (ლვოვი), ა. ახმარუმოვა (მოსკოვი) — 10,5-10,5, ე. ეპშტეინი (კლაიპედა) — 10.

დასკვნით, XVII ტურში, რომელიც დღეს საღამოს გაიმართება, იოსელიანი ლელჩუკს შეხვდება.

გ. მაჭავარიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

გუშინ

ნანა იოსელიანმა ლელჩუკთან პარტია ყაიმით დაამთავრა, 12 ქულით I ადგილი დაიკავა და მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, დიდოსტატი ნანა იოსელიანი.

რ. ოქსბუხის (ტალინი) ფოტო.

● **ჭადრაკი**

ლიდერს დაეწია

გრონინგენში (ჰოლანდია). მიმდინარე ჭაბუკთა ევროპის პირველობის VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკემ ი. ელვესტმა დაამარცხა ჰოლანდიელი თ. ნეიბურა, ხოლო შეჯიბრების ლიდერმა კ. ხანსენმა (დანია) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მ. კონდისთან (შოტლანდია). ამრიგად, 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ელვესტი და ჰანსენი —5,5-5,5 ქულა.

უმაღლეს ლიგაში გავიდნენ...

თელავი, 27 დეკემბერი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატზე (პირველი ლიგა) შაბათს დამთავრდა ყველა გადადებული პარტია. ანიკაევმა მოუგო აგზამოვს და ყაიმს მიაღწია ლპუტიანთან. აგზამოვმა დაამარცხა ცეიტლინი, ვასიუკოვმა და იუდასინმა — ერმოლინსკი, პეტროსიანმა — გორელოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ ლუკინი და გურგენიძე.

კვირას, 26 დეკემბერს გაიმართა დასკვნითი, XVII ტურის შეხვედრები.

სწრაფად დაზავდნენ ვაჰანიანი და ლპუტიანი. ერევნელმა დიდოსტატმა 11,5 ქულით I ადგილი დაიკავა. მისი დაწევა შეეძლოთ მხოლოდ ზაიჩიკს და აგზამოვს, რომლებიც ამ დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ. მათი დიდად საპასუხისმგებლო პარტია ყაიმით დამთავრდა და ორივეს 11-11 ქულა დაუგროვდა. კოეფიციენტთა ცხრილით II ადგილი ხვდა აგზამოვს. ამრიგად, **უმაღლესი ლიგის საგზურები მოიპოვეს რ. ვაჰანიანმა და გ. აგზამოვმა (ტაშკენტი).**

ცეიტლინმა მოუგო ბაგიროვს. ყაიმზე შეთანხმდნენ ერმოლინსკი — პეტროსიანი, ცეშკოვსკი — გორელოვი და ვასიუკოვი — ლუკინი. ორი პარტია გადაიდო.

დღეს დილით დამთავრდა გადადებული პარტიები და მასთან ერთად ტურნირიც. გურგენიძემ დაამარცხა იუდასინი, ჩეხოვმა — უბილავა. დაზავდნენ ანიკაევი და შნეიდერი.

ვაჰანიანისა და აგზამოვის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: გ. ზაიჩიკი — 11, ს. ლპუტიანი, ლ. იუდასინი, ი. ანიკაევი — 10-10, ე. უბილავა, ა. შნეიდერი — 9,5-9,5, ვ. ჩეხოვი — 9, ვ. ცეშკოვსკი, ვ. ბაგიროვი — 7,5-7,5, ა. ლუკინი, ე. ვასიუკოვი — 7-7, ს. გორელოვი, ა. ერმოლინსკი, ბ. გურგენიძე, ა. პეტროსიანი — 6,5-6,5, მ. ცეიტლინი —5.

III-VIII ადგილებზე გასული მოჭადრაკეები გაისად მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის 51-ე ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში.

რ. თავარიანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში

ახალგაზრდობა უტევს და იმარჯვებს

მახვილშემართული ქალები

სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე დღეს საფარიკაო ბილიკზე სინაზით, პლასტიურობითა და საოცარი ემოციურობით სავსე ორთაბრძოლები გაჩაღდა — საასპარეზოდ გამოვიდნენ რაპირისტი ქალები.

ტონს იძლეოდნენ ახალბედა გოგონები, რომლებიც საოცარი მიზანსწრაფულობით, შეუპოვრობით ებრძოდნენ ტიტულოვან მეტოქეებს. ისეთი მრავალჭირნახული მებრძოლები, როგორებიც არიან: ნაილია გილიაზოვა (სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი) და ლარისა ცაგარაევა (ოლიმპიური ჩემპიონი) ფინალში ვერ მოხვდნენ. აქ თითქმის ახალბედებმა იასპარეზეს. საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი გახდა 20 წლის სპორტის ოსტატი **ტატიანა პეტროვა**, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში ანგარიშით 8:6 დაამარცხა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ნაცადი რაპირისტი **ირინა უშაკოვა** (ბელორუსია).

ტატიანა უკვე ერთი წელია, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ირიცხება და ამ ხნის მანძილზე თვალსაჩინო ოსტატი გახდა. მესამე იყო ოლგა ვოშჩაკინა (სპორტის ოსტატი, რსფსრ).

როგორც სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ჟიტლოვმა** და რსფსრ-ს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ნიკიფოროვმა** ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, ქართველ მოფარიკავე ქალთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქეთინო ერემეიშვილმა —„შავგვრემანმა გრაციამ", რომელმაც ბრძოლები უძლიერეს მოფარიკავეებთან, ლიდერებთან — ირინა შორინასთან და ტატიანა პეტროვასთან წააგო. იგი მეთერთმეტე ადგილზე აღმოჩნდა.

ნახევარფინალში იბრძოდა 18 წლის მანანა დარასელია, რომელიც ოცდამეთერთმეტე ადგილზე გავიდა.

ახლა საბჭოთა კავშირის ნაკრებში გაცხოველებით მიმდინარეობს გუნდის გაახალგაზრდავება, რამეთუ მოგვიახლოვდა 1984 წლის ოლიმპიადის რეალები და ახალგაზრდა პერსპექტიული მოფარიკავეების პეტროვას, რიდაევას, შორინას გვერდით გამოსვლა მოუწევს, ჩვენს ქეთინო ერემეიშვილსაც, მას, თუ მისი მწვრთნელის მალხაზ გაბუნიას სიტყვებს გავიმეორებთ, „მეტი სერიოზულობითა და მეტი შემართებით მართებს ვარჯიში და წარმატებები იქნება".

ჩვენი გოგონები ადრე გამოეთიშნენ ბრძოლებს, მაგრამ დარბაზიდან დიდხანს არ წასულან, ტრიბუნაზე ისხდნენ, ბრძოლებს არჩევდნენ. აქ ვიპოვნე რუსიკო გალუაშვილი — 15 წლის მოფარიკავე გოგონა, სპორტის ოსტატობის კანდიდატი:

— ძალიან მომეწონა ოლგა ლობზინა, თავის მეტოქეს აქებდა ის, თავისუფლად მეფარიკავებოდა, არც მე დავღლილვარ და არც ის — გაკვირვებას ვერ მალავდა.

— ეს იმიტომ, რომ დინჯად გეფარიკავებოდა, — უთხრა ვალიკო მასწავლებელმა, ფარიკაობის ახალგაზრდა მწვრთნელმა.

ტრიბუნებზე ერთობ საინტერესო საუბრები იმართებოდა, აქ ხომ უმთავრესად გათვითცნობიერებულმა მაყურებელმა მოიყარა თავი: პატარა გოგო-ბიჭებმა, ახლა რომ სწავლობენ ამ რაინდული სპორტის „კოდექსებს" და სახელმოხვეჭილმა მუშკეტერებმა, თავიანთი ხელწერა რომ დატოვეს საფარიკაო ბილიკზე.

პატარებს ყველაფერი მოსწონთ, აი, უფროსები კი ძნელად თუ რასმეს მოიწონებენ. თუმცა, გამარჯვებული რაპირისტი ქალები ყველამ ერთხმად დააჯილდოვა ტაშით.

დასკვნითი დღე და დაშნოსნები

როცა დარბაზში შევედი, პირველი ტურის ორთაბრძოლები უკვე დაწყებული იყო — დაშნით მოფარიკავეები იბრძოდნენ. მეექვსე ბილიკთან საკმაოდ მოეყარათ თავი გულშემატკივრებს: გურამ კოსტავა და რეზო ცირეკიძეც იქ იყვნენ. აღმოჩნდა, რომ რეზოს ვაჟი გიორგი ცირეკიძე იდგა ბილიკზე.

უმძიმდა შვილის ყურება სახელოვან სპორტსმენს, პირმოქუფრული იყო. მაინც შევბედე დალაპარაკება, ვთხოვე შეეფასებინა ბრძოლა, გამიღიმა, მიმიხვდა ეშმაკობას, — ჩემს ბიჭზე გინდათ აზრი გამოვთქვა? რა უნდა გითხრათ, მის პირველ ბრძოლას ვუყურებ, 19 წლის არის, ხან სად მოსინჯა ძალები და ხან სად, სულ რამდენიმე თვეა დაშნით დაიწყო ვარჯიში გურამ კოსტავასთან. ამბობს, მივაგენიო საკუთარ თავს და უკვე ჩემპიონობა უნდა, მაგრამ მოფარიკავეები განა ასე ადვილად ხდებიან ჩემპიონები!

გიორგი ცირეკიძე ჩემპიონი მართლაც არ გამხდარა, პირველივე ტურიდან გამოეთიშა ორთაბრძოლას, მაგრამ როგორც თავად ამბობს, დღეს თუ არა, ხვალ, მაინც იზეიმებს ჩემპიონობას.

მოდით, დიდი მიზანსწრაფულობა დავარქვათ მის ამგვარ განწყობილებას.

გიორგისნაირი „ახირებული" ერთიც იყო ჩვენს გუნდში — ოლეგ ტრუბაევი. ვერანაირ დამარცხებას ვერ ურიგდებოდა. ბოლო ჩხვლეტამდე იბრძოდა, იგი ადრე.

(დასასრული მე-4 გვ.).

• • •

სურათზე: მ. დარასელიასა და ქ. ერემეიშვილის ორთაბრძოლა.

ე. ხუცურაულის ფოტო.

ვემზადებით

სსრ კავშირის ხალხთა

VIII სპარტაკიადისთვის

საკმარისია ცურვის პრობლემებზე ჩამოვარდეს სიტყვა, სპეციალისტები ხატოვნად ამბობენ ხოლმე — ნაკლოვანებები წყალს გავატანოთო. საცურაო აუზებში ბევრი წყალი იცვლება, მაგრამ იმ წყალს ჩვენმა მწვრთნელებმა ვერა და ვერ გაატანეს ნაკლოვანებები. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში გამართულმა მოცურავეთა შეჯიბრებამ გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ გარდამავალ თასზე.

ერთი შეჯიბრების შუქი და ჩრდილი

ახლა ყველა შეჯიბრება, როგორი რანგისაც არ უნდა იყოს, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისთვის სამზადისად შეიძლება ჩავთვალოთ. გამონაკლისი არც „ვეჩერნი ტბილისის“ თასის გათამაშებაა.

ეს ასპარეზობა, თუმცა საქალაქოა, მაგრამ მისი შედეგების მიხედვით მთლიანად რესპუბლიკის ნაკრებზე შეიძლება მსჯელობა, რამეთუ თბილისელთა გუნდი ფაქტიურად საქართველოს საუკეთესო მოცურავეთა ნაკრებია.

რა გვიჩვენა შეჯიბრებამ? —სამწუხაროდ, დამაიმედებელი ბევრი არაფერი. ძნელია ოპტიმისტურად განეწყო, როცა ქალთა 200 მეტრზე გულაღმა მოცურავეთა სტარტზე მხოლოდ ექვსი სპორტსმენი გამოდის, 400 მეტრზე კომპლექსურ და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ორად-ორი სპორტსმენი ასპარეზობს, 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კი საერთოდ არავინ სჩანს მარტოდმარტო მაინც რომ გამოვიდეს სარბიელზე.

ჩვენი მოცურავე ქალები რომ ასე ჩამორჩნენ, ამას კარგა ხანია „მივეჩვიეთ“. როგორც სჩანს, მათი სენი ვაჟებსაც გადაედოთ. წინათ, უარეს შემთხვევაში, ერთი გაცურვისთვის მაინც, ყველა ბილიკს იკავებდნენ ვაჟი სპორტსმენები. ახლა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში მხოლოდ შვიდი, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში კი 6 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე.

ან რა შედეგებზე შეიძლება საუბარი, როცა ქალთა 200 მეტრზე გულაღმა, 400 მეტრზე თავისუფალი სტილითა და ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებულნიც კი მეორე თანრიგის შედეგით აღიან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის შედეგი მხოლოდ ორჯერ, ოსტატობის კანდიდატისა კი ცხრამეტჯერ აღნიშნეს წამმზომებმა მაშინ, როცა ინდივიდუალურ სახეობებში მოცურავეებმა 72 საპრიზო ადგილი გაინაწილეს.

საერთოდ, ოსტატობის შედეგებზე ოცნებაღა დაგვრჩენია, რადგან შეჯიბრების მონაწილეთა უმეტესობას ცურვის ტექნიკა საკმაოდ არასრულყოფილი აქვს. ისინი ვერც სტარტს იღებენ ისე როგორც წესი და რიგია. აღარას ვამბობთ მობრუნებაზე.

ნაკრების მწვრთნელები ალბათ იტყვიან, შეჯიბრების შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, სტარტზე კიდევ რვა საუკეთესო მოცურავე, მათ შორის ნაკრების ლიდერი ი. გერასიმოვაც რომ გამოსულიყოო. იტყვიან და მართალნიც იქნებიან, მაგრამ სპარტაკიადაზე განა რვა, თუნდაც ორი ამდენი სპორტსმენის იმედად უნდა ვიყოთ? ეგ კი არადა, მწვრთნელები ხმამაღლა თუ არა, თავისთვის მაინც გაიფიქრებენ, ან ის 16 მოცურავე სადა გვყავს, რომლებიც სპარტაკიადაზე ჩათვლას მოგვცემენო.

დიახ, სრულიად აშკარაა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე საქართველოს მოცურავეთა ნაკრები სრული გუნდით ვერ გაემგზავრება.

ახლა, როცა ჩვენი მოცურავეები ასეთ სავალალო მდგომარეობაში არიან, თითოეულმა მწვრთნელმა, თითოეულმა სპორტსმენმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ასე როდი იქცევა —მწვრთნელები უკმაყოფილონი არიან დინამოელი ე. სივაპლიასოვის საქმისადმი დამოკიდებულებით. სივაპლიასოვი, როგორც პერსპექტიული, იმედის მომცემი მოცურავე, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშიც კი იყო მიწვეული, მაგრამ, როგორც მწვრთნელებმა თქვეს, იგი ახლა ცუდად ვარჯიშობს, არ იცავს რეჟიმს, მიუხედავად ამისა, სივაპლიასოვმა ამ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგით გაიმარჯვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (55,6). ეს მის პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს და იმედი უნდა დავიტოვოთ, რომ იგი აიმაღლებს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას და სერიოზულად მოეკიდება საქმეს.

სპარტაკიადაზე ყველაზე დიდ იმედს, ბუნებრივია, ი. გერასიმოვაზე და დ. იაკოვლევზე ვამყარებთ. განთიადელ იაკოვლევს სსრ კავშირის ნაკრების ხელმძღვანელებმა რამდენიმე დღით დასვენების უფლება მისცეს. ისიც თბილისში ჩამოვიდა და „ვეჩერნი ტბილისის“ თასის გათამაშებაში ჩაება. ლიდერმა, ბუნებრივია, ყველას აჯობა 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, ის ორადორი სპორტის ოსტატის შედეგიც სწორედ მან აჩვენა (შესაბამისად —59,2 და 2.08,5).

ამ შეჯიბრებაში ქალთაგან ყველაზე უკეთ იასპარეზა განთიადელმა ლ. ციბულსკაიამ. მან სპორტის ოსტატის კანდიდატის შედეგებით გაიმარჯვა 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით (შესაბამისად — 1.09,8 და 2.32,8), აგრეთვე 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.11,6).

გაგაცნობთ კიდევ რამდენიმე მოცურავეს, რომლებმაც სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგებით სხვებზე მეტი გამარჯვება მოიპოვეს: დინამოელი ი. ვერბიცკი საუკეთესო იყო ვაჟთა 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად — 2.03,1 და 4.23,5); განთიადელმა პ. ერემაძემ ყველას აჯობა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.03,7 და 2.18,0); მისი თანაგუნდელი ზ. კუპუხიძე უძლიერესი იყო 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.20,5 და 5.04,1);

ეს მოცურავეები ჩვენი გუნდის უძლიერესი წევრები არიან. სამწუხაროდ, მათი მაჩვენებლები იმდენად შორსაა საკავშირო სტანდარტებისგან, რომ მეტად საეჭვოა მათ რაიმე გვარგონ საკავშირო სპარტაკიადაზე.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ შეჯიბრების ჩრდილოვან მხარეებზე. როგორც ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა ზ. ნათაძემ გვითხრა, საქალაქო შეჯიბრებას ხშირად თავს არიდებენ თბილისის განათლების სამმართველოს წარმომადგენლები. იმის გამო, რომ არბიტრები გვაკლია, პირველობებზე მსაჯობა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს უხდებათ. ამასთან, გუნდების წარმომადგენლები არასწორად ავსებენ სპორტსმენთა ბარათებს, რაც დამატებით თავსატეხს უჩენს შეჯიბრების სამდივნოს.

ახლა კი ზოგიერთი სასიამოვნო ფაქტის შესახებ:

ამ შეჯიბრებამ რამდენიმე პერსპექტიული მოცურავე გამოავლინა; მათ შორის უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ განთიადელი ა. კაზაკოვა. ამ 11 წლის გოგონამ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში III ადგილი დაიკავა, რაც მთავარია, თავისი ასაკისთვის მან კარგი — I თანრიგის შედეგი აჩვენა (1.08,6).

ქებას იმსახურებს „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი, 12 წლის ი. კორჟი. იგი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ქალებში გამოდიოდა და მანაც I თანრიგის შედეგი (1.09,4) აჩვენა.

საქართველოს მოცურავეთა ნაკრების უფროს მწვრთნელს კ. პოტაპოვს პერსპექტიულ მოცურავეებად მიაჩნია ვ. ერმოლაევი („შრომითი რეზერვები“) და ი. იანიშევაც („ბურევესტნიკი“), რომლებმაც I თანრიგის შედეგები აჩვენეს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს სპორტსმენები 15 წლისანი არიან და მათი მომავალი, როგორც მოცურავეებისა, გაისად ამ დროს უკვე ნათელი იქნება.

გუნდურ პირველობაში „ვეჩერნი ტბილისის“ გარდამავალი თასი ზედიზედ მესამედ მოიპოვა „განთიადმა“ — 1171,5 ქულა, მეორე იყო „დინამო“ (767), მესამე — „ბურევესტნიკი“ (230), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, „შრომითი რეზერვების“, განათლების სამმართველოსა და „ლოკომოტივის“ გუნდები.

აღსანიშნავია, რომ ამ ოთხიოდე წლის წინათ პირველად გამართულ ამგვარ შეჯიბრებაში დინამოელებმა იმარჯვეს. საერთოდ „დინამოს“ მოცურავეები წინათ ტონს იძლეოდნენ სპორტის ამ სახეობის განვითარებაში, მაგრამ უკანასკნელ წლებში მათ საგრძნობლად შეასუსტეს მუშაობა.

ა. გურასაშვილი.

ხ უ რ ა თ ზ ე: დ. იაკოვლევი.
ავტორის ფოტო.

ასპარეზობენ მეგობრები

ეროვნული

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში სამ დღეს მიმდინარეობდა სსრ კავშირის შექმნის 60 და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ფრენბურთელთა ტურნირი.

ასპარეზობაში, რომელიც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტდარბაზში გაიმართა, მონაწილეობდნენ თბილისის ინდუსტრიული, ბაქოსა და ერევნის, აგრეთვე გეორგიევსკის ტექნიკუმების ნაკრები გუნდები. ამ საინტერესო შეჯიბრების ინიციატორი გახლდათ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სამხედრო მომზადების განყოფილება, რომელსაც სახელოვანი მოკრივე დ. კვაჭაძე ხელმძღვანელობს.

ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა. როგორც გოგონათა, ისე ვაჟთა კოლექტივებში I ადგილები თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდებმა მოიპოვეს. გოგონათა ნაკრები ტურნირისთვის ი. გურგენიძემ მოამზადა, ვაჟებისა — რ. მურადოვმა.

— ასეთი სახის ტურნირი ჩვენთან პირველად ჩატარდა და ბუნებრივია, ეს ძალიან ბევრს გვავალებდა, — გვითხრა დ. კვაჭაძემ — შევეცადეთ სტუმრებისთვის ზრუნვა და ყურადღება არ მოგვეკლო. მოეწყო საინტერესო ექსკურსიები თბილისსა და მცხეთაში. შეხვედრები [illegible] ახალგაზრდობასთან, ჩატარდა მეგობრული საღამოები. გარდა ამისა, ტექნიკუმებმა იკისრეს სტუმართა შეფობაც: მანქანათმშენებლობის ტექნიკუმმა — ბაქოელების, პოლიტექნიკურმა — ერევნელთა, ინდუსტრიულმა — გეორგიევსკელების.

ახლა გეორგიევსკელთა გუნდის მწვრთნელ ანდრეი ფილატოვს მოვუსმინოთ:

— საქართველოში პირველად ვარ. ბევრი გამეგო თქვენი რესპუბლიკის შესახებ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თბილისი წარმტაცი ქალაქია, თბილისელები კი საოცრად გულღია და სტუმართმოყვარე ხალხია. აქ უამრავი მეგობარი შევიძინეთ. მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით ულრმესი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მოგვცა საშუალება ქართულ მიწაზე რამდენიმე დაუვიწყარი დღე გაგვეტარებინა. რაც შეეხება შეჯიბრებას, იგი მაღალორგანიზებულად ჩატარდა. და მე ვისურვებდი, რომ პირველი და უკანასკნელი არ ყოფილიყო.

ჩვენც ვუერთდებით გეორგიევსკელი სტუმრის სურვილს და გამოვთქვამთ იმედს, რომ ასეთი რანგის ტურნირების გამართვა მომავალში სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

ნ. ბიორბაძე.

ქართველ იუნიორთა წარმატება

ქალაქ ობნინსკში დამთავრდა იუნიორ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში 15 გუნდი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა საქართველოს განათლების სამინისტროს ნაკრები, მეორე იყო თბილისის განათლების სამმართველოს კოლექტივი, მესამე საპრიზო ადგილს მასპინძლები — ობნინსკის ძიუდოისტები დაეუფლნენ.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ვ. ლვინიაშვილი (53 კგ), გ. ჩურჩხელაშვილი (68), გ. პარუნაშვილი (75) და ვ. პარუნაშვილი (მძიმე წონა). ვერცხლის მედლები მოიპოვეს ნ. ბაზალელმა (57), თ. ფიცხელაურმა (68) და გ. ჯალაღანიამ (75), ბრინჯაოსი — ლ. შამიაშვილმა (62), მ. მუხაძემ (68). ვ. ჭინჭარაძემ (83) და დ. მაჭავარიანმა (მძიმე წონა).

მ. ბროძელი,
საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ძიუდოში.

კვლავ დნეპროძერჟინსკში...

დნეპროძერჟინსკში გაიმართა ჭაბუკთა შესარჩევი ტურნირი ჩოგბურთში „მოლოდაია გვარდიას“ პრიზზე.

1971-1972 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. საკმარისია ითქვას, რომ ფინალში ორი თბილისელი გავიდა — დინამოელი იმდატ ხარზიანი და ანატოლი ახალაძე (განათლების სამმართველო). გაიმარჯვა ი. ხარზიანმა, რომელიც მეტოქეზე უფროსია. ორივე ჩოგბურთელმა მოიპოვა უფლება იასპარეზოს ჭაბუკთა ზამთრის საკავშირო პირველობის ფინალურ ტურნირში, რომელიც ამავე ქალაქში 2 იანვარს აიღებს სტარტს.

ასეთივე უფლება მოიპოვეს გოგონათა შორის მესამე ადგილებზე გამოსულმა ქართველმა სპორტსმენებმა ირინა მუსაელიანმა (1971-1972 წ. წ.) და ნინო არაბულმა (1969-1970 წ. წ.).

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საიუბილეო წელს მიეძღვნა

350 ფიზკულტურელი გამოვიდა გორში ჩატარებულ საშემოდგომო კროსის სტარტზე, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა.

კარგი მომზადება გამოავლინეს პედაგოგიური ინსტიტუტის, ანალიზური ხელსაწყოების საცდელი ქარხნის, 32-ე პროფტექნიკური, მუსიკალური და სამედიცინო სასწავლებლების წარმომადგენლებმა, ფეიქრებმა, აგრეთვე VI, IX და III საშუალო სკოლების კოლექტივებმა.

კროსს უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ გორვაჭრობის, ადგილმრეწველობის საწარმო გაერთიანების, ავტოსატრანსპორტო გაერთიანებისა და კავშირგაბმულობის ფიზკულტურული კოლექტივები. მათ რატომღაც თავი აარიდეს ამ მასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობას.

ი. თევდორაშვილი.
(„ლელოს“ კორ.).

გორი.

მსაჯობდნენ... მონაწილენი

თბილისის სპორტკომიტეტის თაოსნობით ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა თბილისის პირველობა ხელბურთში 1967-68 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის, „ბურევესტნიკის“ ხელბურთის სპეციალიზებული სკოლისა და ქალაქის მხოლოდ ორი — ოქტომბრისა და კიროვის რაიონების სპორტსკოლის გუნდებმა.

თბილისის ჩემპიონობა დამაჯერებლად მოიპოვა განათლების სამმართველოს სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი — სპორტის საპატიო ოსტატი ჯ. ცერცვაძე, მწვრთნელი რ. ჭანტურია) გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდნენ „ბურევესტნიკის“, ხოლო მესამეზე — ოქტომბრის რაიონის სპორტსმენები.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ასაკის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა უნდა იასპარეზონ მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაზე. მით უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ გუნდები არა ჰყავთ და ტურნირში მონაწილეობას თავი აარიდეს ლენინის, გლდანის, 26 კომისრის, ორჯონიკიძის, კალინინის, 1 მაისის რაიონების სპორტსკოლებმა. ძალზე სუსტად იყო მომზადებული ოქტომბრისა და კიროვის რაიონის სპორტსკოლების გუნდები. ამიტომაცაა, რომ საქართველოს მოსწავლეთა ღირსების სხვადასხვა რანგის საკავშირო შეჯიბრებებზე მხოლოდ ხელბურთის ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღსაზრდელები იცავენ.

ძალზე დაბალი იყო თვით შეჯიბრების ორგანიზაციაც. თამაშებს სჯიდნენ თვით მოასპარეზე სპორტსმენები, ზოგიერთი ხელბურთელი მოედანზე შეუფერებელი ფორმით გამოდიოდა, გამარჯვებულები ამაოდ ელოდნენ დაჯილდოებას და ა. შ.

ყველაფერი ეს, ცხადია, არასასიამოვნო სანახავი იყო როგორც დარბაზში მყოფი მაყურებლებისათვის, ისე თვით ჭაბუკი სპორტსმენებისთვის.

ჯ. ნიკურაძე,
სპორტის ოსტატი, განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ხელბურთში.

ვიტალი დარასელია



უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა საბჭოთა ფეხბურთის შესანიშნავი წარმომადგენელი, სსრ კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის წევრი, გუნდის კომორგი, სკკპ წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიტალი კუხინის ძე დარასელია.

რესპუბლიკის, მთელი ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობდნენ ამ შესანიშნავ სპორტსმენს, საუკეთესო ფეხბურთელს, თავმდაბალ ადამიანს, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო თბილისის „დინამოს“ მისი ბოლო წლების დიდ წარმატებებში, თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები გუნდის მიღწევებში.

ვიტალი დარასელია 1957 წლის 9 ოქტომბერს დაიბადა ოჩამჩირეში. აქ სწავლობდა საშუალო სკოლაში, აქვე დაიწყო თამაში ადგილობრივ ბავშვთა გუნდში. შემდეგ, ჯერ კიდევ ჭაბუკი ფეხბურთელი, წარმატებით იცავდა ოჩამჩირის „ამირანის“ ღირსებას საქართველოს პირველობაზე. იმ ხანებში იგი თამაშობდა ცენტრალურ თავდამსხმელად და იშვიათად, რომ დაეტოვებინოს მინდორი მეტოქის კარში ბურთის გაუტანლად.

ნიჭიერი ჭაბუკი ფეხბურთელი შეუმჩნეველი არ დარჩათ მწვრთნელებს, სპეციალისტებს, 1974 წლის ბოლოს იგი უკვე თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს. ახალწვეული დიდხანს არ მჯდარა სათადარიგოთა სკამზე. უკვე 1975 წლის საკავშირო ჩემპიონატში გამოვიდა ძირითად შემადგენლობაში და იმთავითვე დაიმკვიდრა ადგილი უძლიერესთა შორის. პირველივე გამოსვლებიდან ცხადი გახდა, რომ კოლექტივში მოვიდა დიდი მომავლის მქონე ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელმაც ღირსეულად დაიკავა ადგილი თბილისის „დინამოში“. მან ახალგაზრდული აზარტი და შემართება შეიტანა კოლექტივის თამაშში, მატჩიდან მატჩამდე იზრდებოდა, ხვეწდა თავის ოსტატობას. სულ მალე ვ. დარასელია გახდა ჯერ საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი.

საოცარი შრომისმოყვარეობა, უშრეტი ენერგია, უმაღლესი დახვეწილი ტექნიკა, უტყუარი ტაქტიკური აზროვნება ახასიათებდა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს. იგი ურთულეს სიტუაციებში პოულობდა თამაშის სწორი გაგრძელების გზებს. ყველასათვის სამაგალითო იყო მისი წარმოუდგენლად დიდი შრომისუნარიანობა, დაუზარელი ღწვა საყვარელი გუნდის წარმატებისათვის, მისი მებრძოლი ხასიათი — ძალ-ღონის დაუზოგავად ემსახურა მის სათაყვანებელ თბილისის „დინამოს“, საბჭოთა ფეხბურთის აღმავლობისათვის, სიხარული და ალტაცება მოეტანა ფეხბურთის ჭეშმარიტი ქომაგებისათვის. ფეხბურთის გულშემატკივართა ხსოვნაში არასდროს წაიშლება მის მიერ გადამწყვეტ მომენტებში გატანილი არა ერთი და ორი შესანიშნავი გოლი, ფეხბურთისადმი უსაზღვრო ერთგულება, დაუოკებელი სპორტული ჟინი, შემართება და თავდადება. ღირსეული მოქალაქე, პრინციპული, ამასთან გულისხმიერი და უანგარო მეგობარი — ასეთად იცნობდნენ მას ფეხბურთის მოყვარულები, ასეთი წარუშლელი კვალი დასტოვა ცხოვრებაში, ფეხბურთში.

სსრ კავშირის ჩემპიონატებში ვ. დარასელიამ ჩაატარა 192 კალენდარული მატჩი და 26 ბურთი გაიტანა, მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის თასის მრავალ მატჩში, საერთაშორისო შეხვედრებში, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტურნირში.

ვ. დარასელია იყო 1976 წელს ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, 1980 წელს — ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი, ფლობდა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, 1976 და 1979 წლებში თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მოიპოვა სსრ კავშირის თასი, 1981 წელს თბილისის დინამოელებთან ერთად გაიმარჯვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, სადაც გადამწყვეტ მომენტში ულამაზესი გოლი გაიტანა მეტოქის კარში.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ვ. დარასელიამ 22 მატჩი ჩაატარა. იგი ხუთჯერ იყო დასახელებული ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში, მათ შორის პირველ ნომრად, მონაწილეობა მიიღო 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში.

დიდია ქართული ფეხბურთის დანაკლისი. ბრმა შემთხვევამ შეიწირა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე სპორტსმენი, რომელსაც კვლავ ბევრის გაკეთება შეეძლო თავისი მშობლიური კოლექტივისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდისთვის. ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა, გუნდის ხელმძღვანელობა, დინამოელთა მთელი კოლექტივი დიდ იმედებს ამყარებდნენ ვ. დარასელიას მაღალ ოსტატობაზე, მის ენერგიულ, თავგანწირულ თამაშზე, მის შესანიშნავ მოქალაქეობრივ თვისებებზე, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობაზე, რომელიც საერთოდ ახასიათებდა მას და რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის უპირველესი საფეხბურთო კოლექტივის თითოეული წევრისათვის. როგორც ყოველთვის ადრე, ახლაც — თავისი თავმდაბლობითა და მოკრძალებით, ფეხბურთის ფანატიკური სიყვარულით, მეგობრებთან თავისი გულღია უშუალო ურთიერთობით მას უნდა მიეცა მაგალითი ახალბედა პარტნიორებისთვის, რომლებიც ახლა იდგამენ ფეხს დიდ ფეხბურთში. ძნელია გამოეთხოვო ასეთ ახალგაზრდა კაცს, ძალების აყვავების ხანაში მყოფ სპორტსმენს, დინამოელთა საყვარელ კომორგს, ფეხბურთის მილიონობით გულშემატკივრის აღიარებულ კერპს, ორი შვილის მზრუნველ მამას.

გამოჩენილი ფეხბურთელის, შესანიშნავი მოქალაქის ვიტალი კუხინის ძე დარასელიას ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი,

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო,

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი.

მშვიდობით, მეგობარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერაფერი მომიფიქრებია ამ მწუხარების ჟამს, რით ვინუგეშოთ თავი, რით ვანუგეშოთ შენი ოჯახი, მეუღლე, შვილები...

ერთი ცხოვრებით ვცხოვრობდით წლების მანძილზე, ერთ საქმეს ვაკეთებდით, მიზანიც ერთი გვქონდა — ქართული ფეხბურთის სამსახური. ახლახანს იყო, მომავალ სეზონზე რომ ვსაუბრობდით და რაღაცნაირად ჩაილაპარაკე — არა, ძმაო, მაინც ვალში ვართ ჩვენს გულშემატკივრებთან. შენ ბავშვივით გახარებდა გამარჯვება, მაგრამ წაგების შემდეგ თავჩაქინდრული მიდიოდი გასახდელისკენ, პასუხისმგებლობას გრძნობდი და იმიტომ, ნაღდი იყავი და — იმიტომ. თუმცა, რა მარტო ფეხბურთი, კაცი იყავი — სიყვარულშიც, მეგობრობაშიც... ცარიელ ადგილს არ იტოვებდი გულში. სამაგიეროდ ჩვენ დაგვიცარიელე ადგილი, ვეღარასოდეს რომ ვერ შეივსება.

ალექსანდრე ჩივაძე.

●

მაშინ მუსიკაზე მელაპარაკებოდი.

ფეხბურთზე ყოველთვის მორიდებით საუბრობდი, როგორღაც მორიდებით ექცეოდი მუსიკასაც. ფრაზებს არ ამთავრებდი, თითოეულ მათგანს პაუზა მოსდევდა, მერე კიდევ... ამ პაუზებით თუ მიხვდებოდა კაცი, როგორ გიყვარდა ფეხბურთი და მუსიკა...

ახლა ჩვენ გვიჭირს სიტყვების ერთად შეგროვება. თითოეულ დაუმთავრებელ ფრაზას ისეთივე უხერხული პაუზა მოსდევს, თითოეული პაუზა შენი სიყვარულია, ვიტალი...

კარგა ხანს გაგვყვება ეს უხერხულობა — ჩვენც, შენს გულშემატკივრებს, იმ კაცსაც, მწვრთნელი და დამრიგებელი რომ ჰქვია, მაგრამ მამასავით რომ გექცეოდა, შენს თანაგუნდელებსაც... დათოს, მანუჩარს, საშას, შოთას...

დარასელია... დარასელია..., დარასელია... ქალი და კაცი, ბავშვი და მოხუცი — დილიდან საღამომდე. რეკდა ტელეფონი რედაქციაში. ვერაფრით ვამშვიდებდით, ვერაფრით ვანუგეშებდით, მაგრამ ჯერ კიდევ იყო იმედი — იქნებ გაუგებრობა მოხდა, იქნებ... წარმოუდგენელი იყო — რა ან როგორ უნდა მოგრეოდა კაჟივით ბიჭს...

როგორი იმედი იყავი ჩვენი... მაგრამ ჯანდაბას იმედი. ერთ კაცთან ერთად ქვეყანას ერთი სამყარო აკლდებაო. დიდი და კეთილი სამყარო მოაკლდა ქართველობას, შენს ოჯახს, მეგობრებს...

...მაშინ მუსიკაზე ვსაუბრობდით. როგორღაც მორიდებით ლაპარაკობდი. თითოეულ ფრაზას პაუზა მოსდევდა, მერე კიდევ... ამ პაუზებით ვიგრძენი, როგორ გიყვარდა მუსიკა...

ქარმა წაიღო ის მელოდია.

მაგრამ ფეხბურთიც მუსიკა იყო შენთვის. იქ შენ თვითონ ეძებდი რიტმსა და ჰარმონიას. ეძებდი და პოულობდი კიდეც. პოულობდი იმიტომ, რომ უშურველად ხარჯავდი ძალასა და ნიჭს...

ამიტომ გვიყვარდი...

ბევრი რამ მოხდება საფეხბურთო სამყაროში, ბევრი რამ შეიცვლება, შენით შექმნილი, მხოლოდ შენეული საფეხბურთო მელოდია კი დიდხანს, დიდხანს იტრიალებს შენს საყვარელ „დინამოს“ სტადიონზე.

შენი გულშემატკივრების სახელით

ირაკლი ბერიაშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებსა და ჭაბუკთა შორის, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1981 წლის გათამაშების გამარჯვებული, სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელი, სსრ კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი ფეხბურთში, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი

ვიტალი კუხინის ძე დარასელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვ. ქ. დარასელიას დამკრძალავი კომისიისაგან

სახელოვანი საბჭოთა სპორტსმენის, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის წევრის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ქ. დარასელიას დაკრძალვის ორგანიზაციისათვის შეიქმნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: რ. ა. გოგლიძე (თავმჯდომარე), რ. შ. აიწურაძე, ნ. ფ. ახალკაცი, შ. ვ. გორგოძე, თ. ვ. კაკუჩია, დ. დ. ყიფიანი, ვ. ა. ლოგუა, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ბ. ს. პაიჭაძე, ვ. ა. ფილია, ს. ნ. სხვიტარიძე, ი. ა. ხარატიშვილი, ა. გ. ჩივაძე, ა. ნ. ჭკუასელი.

ვ. ქ. დარასელიას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენის, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიტალი დარასელიას დამკრძალავი კომისია აცხადებს, რომ სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება:

ქ. თბილისში — 28 დეკემბერს, დღის 13 საათიდან, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში;

ქ. ოჩამჩირეში — 29 დეკემბერს, საღამოს 7 საათიდან, განსვენებულის ბინაზე.

დაკრძალვა 30 დეკემბერს (ხუთშაბათს), დღის 3 საათზე, ქ. ოჩამჩირეში.

ასეთი იყო...

ვიტალი დარასელია და მე მეგობრები ვიყავით, თუმცა ის მაშინ 14 წლისა იყო, მე კი 65-ისა. დაგვამეგობრა მისმა დედამ, იგი ოჩამჩირის სტამბაში მუშაობდა, სადაც მე დირექტორად ვიყავი.

ვიტალის დედას უჭირდა, სულ რამდენიმე წლის გარდაცვლილი ჰყავდა მეუღლე, რომელიც მძიმედ დაჭრილი ჩამოვიდა ფრონტიდან, უჭირდა ქალს ხუთი სულისგან შემდგარი ოჯახის მოვლა, ამიტომ დედას სტამბაში მოჰყავდა ხოლმე ბავშვები, ან თვითონ ისინი მოირბენდნენ აქ სკოლის შემდეგ.

მუდამ მიკვირდა უფროსი ბიჭის — ვიტალის სიყვარული დედის მიმართ. იგი ერთთავად იმის ცდაში იყო დახმარებოდა მას, ხალისით ასრულებდა მის სამუშაოს, მერე კი სტადიონზე გარბოდა, სადაც თავდავიწყებით თამაშობდა ფეხბურთს.

ზოგჯერ შეაგვიანდებოდა ხოლმე სტამბაში მოსვლა და ბოდიშს მოგვიხდიდა — ბურთმა გადამიყოლა, მაგრამ მაინც მოვასწრებო საქმეს (მას ჯიხურებში მიჰქონდა გაზეთები). საჩქაროდ შეკრავდა ჩვენი გაზეთის დასტებს, მოიგდებდა ზურგზე და გაუყვებოდა ქალაქის ქუჩებს. ვიტალის დედა ხშირად ავადმყოფობდა და იმედით შეჰყურებდა ბიჭს, რომელიც სულ მცირე ხანში მოათავებდა ხოლმე მის სამუშაოს. დედა რაა, საკმარისი იყო სტამბის რომელიმე მუშას, განსაკუთრებით ქალებს, გასჭირვებოდა, ვიტალი იქვე გაჩნდებოდა, მუდამ მზად გახლდათ შემწეობის გასაწევად. ისიც მინახავს, როგორ გაუხლეჩია შუაში ვაშლი და სხვისთვის მიუწოდებია ნახევარი...

მერე „ამირანში“ დაიწყო თამაში, თბილისის „დინამოშიც“ მიიწვიეს, საქვეყნოდ განთქმული სპორტსმენი გახდა. და აი...

მიხეილ ჟოჟუა,
ოჩამჩირის სტამბის ყოფილი დირექტორი, პენსიონერი, შრომის ვეტერანი.

გამარჯვებისკენ დაუოკებელი ლტოლვა, დიდი სპორტული ჟინი, მიზანსწრაფვა — ვიტალი დარასელია მწვანე მინდორზე...

ახალგაზრდობა უტევს და იმარჯვებს

დასასრული

ხუთჭიდელი იყო და საერთოდ ფიზიკური მომზადებით კიდევაც ჯაბნიდა სხვებს, მაგრამ ამ კოზირმა ბოლომდე ვერ უშველა, გამოუცდელობამ თავისი გაიტანა (იგი სამი თვეა სერიოზულად ვარჯიშობს ფარიკაობაში), ნახევარფინალში ერთი ბრძოლა მოიგო და ორი წააგო, რის გამოც ფინალში ველარ გააგრძელა ასპარეზობა. მაგრამ, ეს ხომ მისი პირველი ასპარეზობა იყო.

მირიან კიკალეიშვილის მეორე მოსწავლემ კი ნამდვილად ისახელა თავი. გიორგი ჯილაურის სახელი უცნობი არ არის ქართული ფარიკაობის თაყვანისმცემლებისათვის. ის იყო მოსწავლეთა XIV სპარტაკიადის ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის 1980 წელს. იუნიორთა შორის საკავშირო შეჯიბრებების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი და აი, მცირედი ინტერვალის შემდეგ, საფარიკაო ბილიკზე კვლავ გამოჩნდა სწორუპოვარი მებრძოლი გიორგი ჯილაური.

მან ფინალისტთა შესარჩევი სამივე ბრძოლა მოიგო და დაუბრკოლებლად გავიდა ფინალში. პირველ ბრძოლაში ანგარიშით 10:7 დაამარცხა უკრაინელი სპორტის ოსტატი სურდინი, შემდეგ ანგარიშით 10:8 — რსფსრ-ს სპორტის ოსტატი პავლოვი, მესამე ბრძოლა კი, ანგარიშით 10:9 მოუგო ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონს იუნიორთა შორის, სპორტის ოსტატს ლუკიანოვს. მაგრამ ფინალში წილისყრამ ისინი კვლავ ერთმანეთს შეახვედრა. ბრძოლა ლუკიანოვმა წაიყვანა, სამი ჩხვლეტა ზედიზედ და... 3:0.

—ნებისყოფის სიმტკიცე სჭირდება, ემოციებს არ უნდა აჰყვეს—გადაულაპარაკა გვერდში მდგომს გურამ კოსტავამ. გურამს მართლაც აქვს უფლება სხვას მოსთხოვოს და მოუწოდოს გამხნევდიო, იგი ხომ თავად იყო საოცარი მებრძოლი, გავიხსენოთ ერთი ასეთი შემთხვევა მისი სპორტული ბიოგრაფიიდან: მსოფლიო პირველობის გუნდურ ასპარეზობაში ოცდაორი ჩატარებული შეხვედრიდან კოსტავამ ოცდაერთი მოიგო. სწორედ მისი წყალობით მოიპოვა საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა ნაკრებმა პირველად მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

ამგვარი შემართება და ბრძოლისუნარიანობა ვერ გამოამჟღავნა გიორგიმ, 5:10 წააგო შეხვედრა და საბოლოოდ მე-8 ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ მისი გამოსვლა მაინც წარმატებად უნდა ჩაითვალოს, ქართველ დაშნოსანთაგან სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში ხომ გ. კოსტავას შემდეგ აგერ უკვე 10-12 წელიწადია არავის უასპარეზია. თუმცა, ამ საზეიმო განწყობის მიუხედავად, გვინდა მაინც მოვაგონოთ, რომ უფრო მონდომებით და სერიოზულობით მოეკიდოს წვრთნას.

ლუკიანოვმა კი საბოლოოდ მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. სსრ კავშირის თასისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ტიშკო (უკრაინა) და მოჟაევი (რსფსრ). სპეციალისტები თითქოს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ალექსანდრ მოჟაევს უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას, მაგრამ მიხაილ ტიშკომ დამაჯერებლად გაიმარჯვა 10:7 და თასი დაისაკუთრა.

მოსაზრებები და ქათინაურები

არნოლდ ჩერნუშევიჩი — პირველი საბჭოთა პრიზიორი დაშნოსანთა შორის, ათგზის მსოფლიო ჩემპიონი, დღეს — ბელორუსიის დაშნით მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, მას პირველი ტურის დასასრულს შევხვდით და პროგნოზი ვთხოვეთ:

— ადრე 5-6 აღიარებული ლიდერი თუ იყო კავშირში. მათ ადვილად ვერ შეებედავდი პაექრობას, დღეს კი მრავლად არიან მაღალი კლასის ოსტატები და ძალიან ძნელია მათ შორის ვისმე დაფნა უწინასწარმეტყველო. თუმცა, ერთიც მინდა აღვნიშნო: ჩვენი ქვეყნის ნაკრების დაშნოსნები ტექნიკურად კარგად არიან მომზადებული. თითქოს ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ ბრწყინვალე ნიუანსი იშვიათად თუ გამოჩნდება მათს ბრძოლებში.

სერგეი პარამონოვი — მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი, ევროპის თასის ოთხგზის მფლობელი, დღეს — კიევის სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე:

— თქვენი გულითადობისა და გულღიაობის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ თბილისური ამინდი არასტუმართმოყვარულად იქცევა — უამინდობის გამო ვერ ჩამოფრინდნენ მოსკოველი მუშკეტერები: ლ. დუნაევი, ა. აბუშახმეტოვი, ვ. ხონდოგი, ი. ტიხომიროვი.

მართალი გითხრათ, ერთგვარი დანანებით მაგონდებოდა გიორგი ჯილაური, რომელიც მეტად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ბრძოლის ველზე, ამ უკანასკნელ ხანს იგი თითქოს ჩრდილში იდგა. ამიტომ ძალიან გამიხარდა დღეს რომ ასეთ მშვენიერ ფორმაში და, რაც მთავარია, საბრძოლო განწყობილებაში ვიხილე.

ქართველ მოფარიკავეებზე საერთოდ იმის თქმა მინდა, რომ მართალია საქართველოს ნაკრები გუნდი ურიგოდ არ გამოდის საკავშირო პირველობებზე, მაგრამ რახანია აღარ ჩანან ვირტუოზები — ცირეკიძის, კოსტავას დარი ლიდერები. არადა, თითქოს გამოჩნდნენ დიდი იმედების მომცემი სპორტსმენები...

მე კარგად არ ვიცნობ ფარიკაობის ქართულ სკოლას, ამიტომ ვერ მივცემ საკუთარ თავს უფლებას, გადაჭრით ვთქვა, რა არის ამის მიზეზი, მაგრამ ერთს ვიტყვი, ამ მიზეზს მიკვლევა და ლიკვიდაცია სჭირდება.

თუმცა, ნუ დავივიწყებთ ქართველ მუშკეტერს — ვლადიმერ აფციაურს, მისგან ყველაზე სასახელო წარმატებებს უნდა ველოდეთ, ის ხომ ერთი მათთაგანია, ვინც მომავალი ოლიმპიადისათვის გვეიმედება. ვალოდია კარგად „ჩაეწერა“ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდშიც, უცებ გამონახა საერთო ენა ნაკრების წევრებთან და მშვენივრად აუბა მათ მხარი, ესეც ხომ ძალიან ბევრს ნიშნავს.

გალინა გოროხოვა — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, დღეს — სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სახელმწიფო მწვრთნელი ფარიკაობაში:

— მინდა აღვნიშნო ტურნირის შესანიშნავი ორგანიზაცია, საქართველოს სპორტკომიტეტი, „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსის დირექცია მხოლოდ და მხოლოდ მადლობის სიტყვებს იმსახურებენ. ბრწყინვალე დარბაზი და გამართული აპარატურა, მზრუნველობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ორიგინალურად გააზრებული გახსნის ცერემონიალი, მაყურებლის მხარდაჭერა — რომელ ერთზე შეიძლება შეჩერდე და ილაპარაკო, ყველაფერი კარგი, სრულყოფილი იყო. მხოლოდ ეს არის, მეტად გადაიღალა ჩემი კოლეგა — საქართველოს მთავარი მწვრთნელი ფარიკაობაში მორის სახვაძე, ასეთი არაქათგამოცლილი იგი „სისხლისმღვრელი ბრძოლებისა“ და დიდზე დიდი საპასუხისმგებლო ტურნირების შემდეგაც არ მინახავს, როცა ხმლით ხელში იბრძოდა, მაგრამ გასაგებია, საორგანიზაციო საქმეს ხომ იგი უძღვებოდა...

დიდი მადლობა თბილისს მასპინძლობისათვის.

მ. კარტოზია.

* * *



სურათზე: გ. დრაგოვალევასა (უკრაინა) და ტ. მიკირტიანის (სომხეთი) შეხვედრა.

ე. ხუცურაულის ფოტო.

● ფარიკაობა

ქართველ სტუდენტთა წარმატება

ამას წინათ ლენინგრადში გაიმართა პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 სასწავლებელი. ასპარეზობაზე დამატებით დაუშვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხარკოვის უნივერსიტეტის, კუიბიშევის საავიაციო ინსტიტუტისა და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები.

კარგად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა — მათ საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვეს (უფროსი მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ლორთქიფანიძე). იარაღების მიხედვით: ხმლით ფარიკაობასა და დაშნაში — I; რაპირაში — V ადგილი.

II ადგილი წილად ხვდა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტს, ხოლო მესამე — თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (უფროსი მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ს. აჯიმამუდოვი). ხმლით ფარიკაობაში მათ V ადგილი დაიკავეს, ხოლო დაშნაში და რაპირაში (ქალები) — II.

ალსანიშნავია, რომ რაპირით მოფარიკავე ქალებმა დაამარცხეს ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიცაა სომხეთისა და მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები გუნდები და ფინალში მხოლოდ ერთი ქულით დამარცხდნენ ლენინგრადელ სტუდენტებთან.

პირად პირველობაში I ადგილი მოიპოვა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. პაიჭაძემ (ხმალი), II ადგილზე გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ვ. აფციაური (რაპირა), დ. თურქია (ხმალი) და ჯ. გამიაშვილი (დაშნა), მესამეზე — თ. ბოჭორიშვილი (ხმალი).

ნინო სიჭინავა.

● კრივი

„ნედელიას“ პრიზი — ვ. აბაჯიანს

ამ რამდენიმე წლის წინათ ყოველკვირეულ „ნედელიას“ თაოსნობით ჩვენში აღდგა საინტერესო ტრადიცია — სსრ კავშირის აბსოლუტური პირველობა კრივში. ტურნირი, როგორც წინათ, ახლაც წლის მიწურულს გაიმართა.

ამ ასპარეზობის არაერთგზის მონაწილის, ცნობილი თბილისელი მძიმეწონოსანი მოკრივის ანდრო ნავასარდოვის აზრით, აბსოლუტურ პირველობას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება — აქ ვლინდება მოკრივის შესაძლებლობათა მაქსიმუმი. და მართლაც, ვინც გასულ შაბათს ცისფერ ეკრანზე ნახა რეპორტაჟი მოსკოვიდან, უსათუოდ დაეთანხმება რინგის ოსტატს.

ეს იყო ორი ტაქტიკის — ფიზიკური გამძლეობისა და ფსიქოლოგიური მომზადების ნამდვილი დემონსტრაცია. მაყურებელი დარწმუნდა, რომ მარტო ფიზიკური მონაცემები, — ვთქვათ ისეთი, როგორიც ლენინგ[illegible]ვლევს აქვს: გრძელ[illegible] მკლავები, წარმოსადეგი ტანი და ა. შ. — ყველაფერს როდი ნიშნავს. ეს აშკარად „დაამტკიცა“ ვორონეჟელმა სტუდენტმა, 94 კგ წონის ვ. აბაჯიანმა 25 დეკემბერს 5-რაუნდიან (2-2 წუთი) ბრძოლაში.

ვ. იაკოვლევი ორჯერ ფლობდა უძლიერესის სახელს, იგი 22 წლისაა. ვ. აბაჯიანი კი ორი წლით მასზე უფროსია, თანაც 4 კგ-ით მსუბუქი. მან შესანიშნავად წარმართა ბრძოლა და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

შეგახსენებთ, რომ 1936 წლის შემდეგ, სხვადასხვა დროს, ამ წოდებას ფლობდნენ მოსკოველები ნ. კოროლიოვი და ვ. მიხაილოვი, ე. ოგურენკოვი, ე. გორსტკოვი, პ. ზაევი, ვ. იაკოვლევი და ა. იაგუბკინი.

უ. ჭინჭარაული.

● კალათბურთი

ლიდერებმა გაიმარჯვეს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ კაუნასში განახლდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის მებრძოლი 8 გუნდის ასპარეზობა.

კვირას, 26 დეკემბერს, ცსკამ დაამარცხა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები — 110:64 (48:32), კაუნასის „ჟალგირისმა“ სძლია რიგის ვეფს — 97:70 (53:37), მოსკოვის „დინამომ“ — მინსკის რტი-ს 83:79 (44:41). ლენინგრადის „სპარტაკმა“ რევანში აიღო კიევის „სტროიტელთან“ მატჩში პირველ ტურში დამარცხებისთვის — 79:74 (41:35).

ხუთი საასპარეზო დღის შემდეგ თერთმეტ თამაშში 9-9 მოგებით დაწინაურდნენ მოსკოვის „დინამო“ და კაუნასის „ჟალგირისი“. მომდევნო ადგილზეა ცსკა—8 მოგება. დანარჩენი გუნდები ჯერჯერობით ასეთ თანმიმდევრობას ინარჩუნებენ: ლენინგრადის „სპარტაკს“, მინსკის რტი-ს და კიევის „სტროიტელს“ — 5-5 მოგება აქვთ, თბილისის „დინამოს“ — 2, რიგის ვეფს—1.

„გიგანტი დელ ბასკეტ“-ის ანკეტით

მილანის ჟურნალმა „გიგანტი დელ ბასკეტმა“ ჩაატარა კონკურსი ევროპის № 1 კალათბურთელის გამოსავლენად. ანკეტები დაეგზავნათ კალათბურთის ცნობილ ევროპელ ექსპერტებს. კონკურსს 40 ცნობილი მწვრთნელი და ჟურნალისტი გამოეხმაურა.

ისევე, როგორც შარშან, ევროპის № 1 კალათბურთელად აღიარეს იუგოსლაველი კიჩანოვიჩი. მან 220 ხმა მიიღო. 208 ხმით მეორეა მიშკინი (საბჭოთა კავშირი), 114 ხმა მიიღო მარზორატიმ (იტალია), რომელიც მესამე ადგილზე გავიდა.

● ფეხბურთი

მარადონა: „ეს უხეში ესპანური ფეხბურთი“

მადრიდი. არგენტინის ნაკრების ცნობილმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ, რომელიც წლევანდელ სეზონში ესპანეთის „ბარსელონაში“ თამაშობს, ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ მატჩში კვლავ მსაჯის ფინალურ სასტვენამდე დატოვა მინდორი. იქვე ექიმი ელოდებოდა. სულ სამი თვეა, რაც აქ თამაშობს მარადონა, და როგორც თვითონ ამბობს, იმდენჯერ დაშავდა, მთელი სეზონისთვის რომ იკმარებდა.

ბარსელონაში ჩამოსვლის შემდეგ ჩემი პირველი შთაბეჭდილება ესპანურ ფეხბურთზე ჯერჯერობით ასეთია: „აქ უფრო უხეშად თამაშობენ, ვიდრე არგენტინაში, — განაცხადა მარადონამ ჟურნალისტებთან საუბარში. — მაგალითად, „სარაგოსასთან“ მატჩში ცხვირ-პირი დამამტვრიეს, მძიმედ დაშავდნენ მუსტერი და ურბანო. შეხვედრის არბიტრი რიერა მორო თითქმის არ რეაგირებდა დარღვევაზე. ვიცი, რომ ყველა ქვეყანაში არიან როგორც ტექნიკური, ისე უხეში ფეხბურთელები, მაგრამ არგენტინაში მსაჯები მეტ სიმკაცრეს იჩენენ წესრიგის დამრღვევთა მიმართ და ამიტომ თამაშები უფრო კორექტულად მიმდინარეობს“.

„მსოფლიო ჩემპიონატის დროსაც, — განაგრძო მარადონამ, — დაახლოებით ასეთივე სიტუაცია შეიქმნა და ნერვებმა მიმტყუნა. რა თქმა უნდა, მე დღემდე ვნანობ, რომ უხეშად მოვცელე ბრაზილიელი ბატისტა, რისთვისაც სამართლიანად გამაძევეს მინდვრიდან. ვიმედოვნებ, ასეთი რამ აღარ დამემართება. მაგრამ აი, რა მაწუხებს: ესპანეთის ჩემპიონატში ჩემი მონაწილეობის პირველი დღიდანვე დაიწყო მუდმივი „ნადირობა“ ჩემზე. ბოლოსდაბოლოს შეიძლება ისეთი ტრავმა მომაყენონ, რომელიც მაიძულებს სამუდამოდ დავანებო თავი ფეხბურთს.

კიდევ ერთი, რაც მე თავიდანვე არ მომეწონა, გახლავთ „ბარსელონას“ მიერ ჩატარებული მატჩების სიმრავლე. ჩემპიონატების თამაშების გარდა, ჩვენ თითქმის ყოველ კვირას საჩვენებელ მატჩებს ვმართავთ ევროპის სხვადასხვა გუნდებთან. ამას მხოლოდ ზიანი მოაქვს მოთამაშეებისთვის, ვინაიდან ისინი მეტისმეტად იქანცებიან და წაგების შემთხვევაში ფსიქოლოგიურ ტრავმასაც ღებულობენ“.

ბოლო დროს პრესაში ბევრი იწერება იმის თაობაზე, რომ „ბარსელონა“ უპირატესობას ანიჭებს დაცვით ფეხბურთს. ასეთი სტილი დამახასიათებელია როგორც ქვეყნის კლუბების უმრავლესობისთვის, ისე ნაკრებისთვის. სწორედ ამან განაპირობა ესპანეთის ნაკრების წარუმატებლობა განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში. მარადონა დაეთანხმა ჟურნალისტების შენიშვნებს. „მაგალითად, „ბარსელონას“ მწვრთნელებს არ სურთ რისკი გასწიონ, როცა ფეხბურთელებს სთავაზობენ სათამაშო დროის მეტი ნაწილი დაცვაში გაატარონ, მაგრამ გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ძალუძთ შეტევაზე თამაში და თუ „ბარსელონა“ შეტევით ფეხბურთს ითამაშებს, დარწმუნებული ვარ, ეს მას სარგებლობას მოუტანს“. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435

უე 08584